განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრი: ზაირა ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **246954620**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 6 მარტის №170 ბრძანების საფუძველზე, 2019 წლის 12-13 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“. 12 მარტს ვიზიტი განხორციელდა ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. №154-ში, ხოლო 13 მარტს ვიზიტი განხორციელდა დაბა ხულოში, მ. შავაძის ქ. №3-ში.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი **„კულინარიის ხელოვნების“, „ელექტროობის“, „სასტუმრო მომსახურების“ „სატყეო საქმისა“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით. მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. დაწესებულების სურვილია ზემოაღნიშნული 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან 4 პროგრამა, კერძოდ, **„ელექტროობა“, „სასტუმრო მომსახურება“ „სატყეო საქმე“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“** დამატებით განახორციელოს ახალ მისამართზე: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, მ.შავაძის ქ.№3 და შესაბამისად, მოქმედ პროგრამებზე გაზარდოს კვოტა დამატებით 30-30 ადგილით (2 ცვლაში 15+15) თითოეულ პროგრამაზე, ჯამში, დამატებით 120 ადგილი (ხულოში), ხოლო რაც შეეხება **„კულინარიის ხელოვნების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ამჟამად ხორციელდება ე.წ. „დუალური“ მეთოდით, სტუდენტების ადგილების რაოდენობა გაიზარდოს 90-ით, სადაც 30 ადგილი განისაზღვრება დუალური მეთოდით სწავლებისთვის, ხოლო 60 ადგილი ე.წ. „მოდულურ“ პროგრამაზე სწავლებისთვის.

ვიზიტი წარიმართა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის **(დანართი 1)** მიხედვით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა დაწესებულების ადმინისტრაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019}

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019}

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019}

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების მისია გაზიარებულია დაწესებულების საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია საჯაროდ, გამოკრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების სტენდი სადაც დაფიქსირებულია სტუდენტების და პერსონალის ხელმოწერები.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019}

VII. დაწესებულების მისია

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდაში შრომის ბაზრის და კოლეჯის პროფილის შესაბამისად კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების გზით.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ ავტორიზებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №27 გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოდიფიცირებულია და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ 2019 წლის 22 თებერვლის №01-04/30 ბრძანებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურა, პროცედურა ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამის განხორციელების, ასევე სწავლების მიდგომის (დუალური სწავლების მიდგომით და დაწესებულებაში განსახორციელებელი) შესახებ გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების აუცილებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანისთვის დადგენილი პროცედურა;

საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმები და მოდულები. თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამები და მოდულები გადამუშავებულია/ადაპტირებულია. დაწესებულების წარმომადგენელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გადამუშავება/ადაპტირება მოხდა კოლეჯის დირექტორის მოადგილესთან კოორდინირებით მასწავლებლებისა და პროგრამების ხელმძღვანელების მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით.

ექსპერტების მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის შესაბამის მოდულებში განსაზღვრული წინაპრობები და სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით.

ინფორმაციის ტექნოლოგია განხორციელდება დამატებით დაბა ხულოში და კოლეჯის სასწავლო გარემო უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს შემდეგი ფაქტორები:

- რეგიონის განვითარების შესაბამისად პროგრამა მოთხოვნადია შრომის ბაზარზე;
- IT მიმართულების პროგრამები ძალინ მოთხოვნადია აპლიკანტთა მხრიდან;

სატყეო საქმე - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფუძველია მაღალმთიან რეგიონში მაღალკვალიფიციური მეტყევის დეფიციტი და ამ დარგის სპეციალისტებზე მაღალი მოთხოვნა.
დ/ხულოში შავაძის N3 -ში კოლეჯ „ახალი ტალღის“ საკუთრებაში არსებულ შენობაში, არის „სატყეო საქმის“ პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო გარემო თეორიული სწავლებისათვის და ადამიანური რესურსი. კოლეჯს გააჩნია ხელშეკრულება სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოსთან, რომლის ფარგლებში შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.

სასტუმრო მომსახურება - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფუძველია მაღალმთიან რეგიონში ტურიზმის განვითარების პარალელურად შესაბამისი დარგის კვალიფიციურ სპეციალისტებზე მზარდი მოთხოვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯ „ახალ ტალღას“ დაბა ხულოში გააჩნია შენობა, სადაც მოწყობილია პროგრამის განხორციელებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემო და ჰყავს მაღალკვალიფიციური დარგის სპეცილისტები, რაც შესაძლებელს ხდის განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ელექტროობა - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფუძველია მაღალმთიან რეგიონში მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება.
დაბა ხულოში კოლეჯ „ახალი ტალღის“ არსებულ შენობაში, არის პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო გარემო თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის და ადამიანური რესურსი.

დაწესებულება გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ ორი მიდგომით განხორციელებას. ამ მიდგომასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს შემდეგი ფაქტორები:

1. აჭარა ტურისტული რეგიონია და პროგრამა არის შრომის ბაზარზე ერთ - ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროგრამა;
2. რეგიონულ დონეზე ჩატარებული კვლევის შედეგები - მაღალი მოთხოვნა, როგორც სწავლის მსურველთა, ისე დამსაქმებელთა მხრიდან;
3. დასაქმების მაღალი მაჩვენებელი,
4. გადამზადების მსურველთა მზარდი მაჩვენებელი,
5. თვითდასაქმების შესაძლებლობა

ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება“ განკუთვნილი კოლეჯის სიმულაციური გარემო-სამზარეულო, სადაც მიმდინარეობს რეალურ საწარმოო გარემოსთან მიახლოებული პროცესები და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება ადგილზე.
დუალური პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის, მდგრადობის/სტაბილურობის შენარჩუნებისათვის და პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის უზრუნველყოფისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

1.კომპანიას და კოლეჯს შორის გაფორმებული აქვს მემორანდუმი. მემორანდუმის ვადა განსაზღვრულია პროგრამის ვადით, მასში მემორანდუმის ხელმომწერთათვის გაწერილია მათი უფლებები და ვალდებულებები.

2.კოლეჯის მიერ შემუშავებულია მექანიზმი, დუალური პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი კომპანიის მიერ შერჩეული პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისთვის. ამ მექანიზმების საფუძველზე პროფესული სტუდენტის გადაყვანა სხვა პარტნიორ კომპანიაში შესაძლებელი იქნება პროფესიული სტუდენტისა და კომპანიის თანხმობის შეთხვევაში, კომპანიასთან გაფორმებული კვოტის ფარგლებში .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული პროგრამის ''კულინარიის ხელოვნება" განხორციელებისათვის კოლეჯს ამ ეტაპზე ჰყავს ცხრა პარტნიორი ორგანიზაცია, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები.

1. შპს ,,ტურინვესტი' (სასტუმრო ,,Hilton Batumi")
2. ი.მ. ზურაბ შერვაშიძის [redacted] („რესტორანი თავადური")
3. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია"-ს ფილიალი, სასტუმრო "Georgia Palace Hotel"ქობულეთი
4. შპს „ბლექ სი რიზორტსი" [redacted] - სასტუმრო „პარაგრაფი")
5. სასტუმრო და გამაჯანსაღებელი კომპლექსი „Castelo mare"
6. შპს „MARINA COLISEUM"
7. შპს „ბულვარის კარიბჭე"
8. შპს „ბაგრატიონი" [redacted]
9. შპს „ვესტის" [redacted]

ვიზიტის პერიოდში მოხდა პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტი არჩევითი პრინციპით. ადგილზე ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები, შეამოწმეს თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი, ხელმისაწვდომი სამუშაო პირობები. გაესაუბრნენ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს და ინსტრუქტორებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- დაწესებულების წესდებით;
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურით;
- საწარმოებთან გაფორმებული მემორანდუმებით და ხელშეკრულებებით;
- გასაუბრებით და ვიზიტით პრაქტიკის ობიექტზე.

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს და ვებგვერდზეა ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (2019 წლის კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდით http://www.kpc.ge
- http://www.kpc.ge/catalogue.html

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენისთვის შედარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს. კერძოდ,:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარიის ხელოვნება“ ჩარჩო დოკუმენტს ,,სასტუმრო, მომსახურება და კვება“ კვალიფიკაციის კოდით 010465.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ჩარჩო დოკუმენტს ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ კვალიფიკაციის კოდით 040171.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ ჩარჩო დოკუმენტს „სატყეო საქმე“ კვალიფიკაციის კოდით 010556
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ ჩარჩო დოკუმენტს „ელექტროობა“ კვალიფიკაციის კოდით 040569
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მომსახურება“ ჩარჩო დოკუმენტს „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ კვალიფიკაციის კოდით 112069

შედარების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოოდენობის გაზრდის მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები რომელიც გაწერილია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში .

ვიზიტის დროს გადამოწმდა წარმოდგენილ პროგრამებზე ყველა პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, სტატუსის მინიჭება პროფესიული სტუდენტებისთვის ხდება დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით. ასევე გადამოწმდა სტატუს შეჩრებული და შეწყვეტილი სტუდენტების პირადი საქმეები და ემისის ბაზა, პროცედურა შესაბამისობაშია მარეგულირებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესთან და მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით, მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზით;
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში - სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გათვალისწინებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღის" დირექტორის 2015 წლის 13 ავისტოს #01-04/9186ბ ბრძანებით დამტკიცებულ „მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების, მოდულური პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესში" (მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები). პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. დაწესებულებას ამ მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ პროფესიულ კოლეჯთან „ბლექსი", სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის „სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან", შპს „თეგეტა აკადემიასთან", სსიპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან“, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისთან“, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღაში“ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- მემორანდუმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლს, ციკლის თითოეული ეტაპი გაწერილია მასში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების მითითებით. სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, დაწესებულების მიერ შემუშავებულია კითხვარები სტუდენტისთვის, მასწავლებელისთვის(თვითშეფასების კვლევა) და დამსაქმებლისთვის. წარმოდგენილ იქნა შევსებული კითხვარები და კითხვარების ანალიზის ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების, მოდულური პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესით“
- კითხვარებით და კითხვარების ანალიზით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ მდებარეობს ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. №154-ში, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელსაც კოლეჯისათვის სარგებლობის უფლებით, დაწესებულების არსებობის ვადით, გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე №1-9 შენობა-ნაგებობები. მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 9433 კვ.მ, ხოლო შენობა-ნაგებობების საერთო ფართია 7406.5 კვ.მ

ახალი ფართი მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში, დაბა ხულოში, მ.შავაძის ქ. №3-ში, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, კოლეჯს სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი საერთო ფართით 1096.5 და №3 შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 592.85 კვ.მ. შენობა-ნაგებობა ორსართულიანია, რომელსაც სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით ჩაუტარდა კაპიტალური რეაბილიტაცია, აღიჭურვა თანამედროვე უსაფრთხოების და სახანძრო სისტემებით, შენობაში შესასვლელად დამონტაჟებულია პანდუსი და სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154, [redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	592.85

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით [redacted] [redacted]
- 29.12.2017 მიღება-ჩაბარების აქტით;
- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს № 12/66649 წერილით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებული სასწავლო ფართები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისათვის დაწესებულებას აქვს:

- **„კულინარიის ხელოვნების“** პროგრამის მიზნებისათვის **ქ.ქობულეთი რუსთაველის №154-ში** არის **ორი A და C გარემო.** ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს **120 პროფესიულ სტუდენტს,** მათ შორის **60 პროფესიული სტუდენტი** იმ პროგრამაზე სადაც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50 % და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
- **„ელექტროობის“** პროგრამის მიზნებისათვის **ქ.ქობულეთი რუსთაველის №154-ში** არის **A და C გარემო.**ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს **30 პროფესიულ სტუდენტს,** ხოლო **დაბა ხულოში, შავაძის ქ.№3 ში** დაწესებულებას გააჩნია **ერთი AC გარემო.** ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს **30 პროფესიულ სტუდენტს.**
- **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროგრამის მიზნებისათვის **ქ.ქობულეთი რუსთაველის №154-ში** არის **C გარემო.** ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს **30 პროფესიულ სტუდენტს,** ხოლო **დაბა ხულოში, შავაძის ქ.№3-ში** დაწესებულებას გააჩნია **ერთი C გარემო.** ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს **30 პროფესიულ სტუდენტს.**
- **„სატყეო საქმის“** პროგრამის მიზნებისათვის **ქ.ქობულეთი რუსთაველის №154-ში** არის **A და C გარემო.** ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს **30 პროფესიულ სტუდენტს,** ხოლო **დაბა ხულოში, შავაძის ქ.№3-ში** დაწესებულებას გააჩნია **ერთი AC გარემო.** ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს **30 პროფესიულ სტუდენტს.**
- **„სასტუმრო მომსახურების“** პროგრამის მიზნებისათვის **ქ.ქობულეთი რუსთაველის №154-ში** არის **სამი A და C გარემოები** (სასწავლო სასტუმრო, სასწავლო რესტორანი, სასტუმროს მიმღები, სასტუმროს მართვის პროგრამების შემსწავლელი ლაბორატორია) **ქ.ქობულეთი რუსთაველის №154-ში** ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით პროგრამის რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეადგენს 105 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50 % და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ხოლო **დაბა ხულოში, შავაძის ქ.№3-ში** დაწესებულებას გააჩნია **ერთი AC გარემო.** ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს **30 პროფესიულ სტუდენტს.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას აქვს მზაობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **„ელექტროობა“, „სასტუმრო მომსახურება“ „სატყეო საქმე“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“** დამატებით განახორციელოს ახალ მისამართზე: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, მ.შავაძის ქ.№3 და შესაბამისად, მოქმედ პროგრამებზე გაზარდოს კვოტა დამატებით 30-30 ადგილით (2 ცვლაში 15+15) თითოეულ პროგრამაზე, ჯამში, დამატებით 120 ადგილი (ხულოში), ხოლო რაც შეეხება „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ამჟამად ხორციელდება ე.წ. „დუალური“ მეთოდით, სტუდენტების ადგილების რაოდენობა გაიზარდოს 90-ით, სადაც 30 ადგილი განისაზღვრება დუალური მეთოდით სწავლებისთვის, ხოლო 60 ადგილი ე.წ. „მოდულურ“ პროგრამაზე სწავლებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციითა და მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში, როგორც ქ.ქობულეთში ასევე დაბა ხულოში, არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათება უზრუნველყოფილია ყველა გარემოში ცენტრალური გათბობა მუშაობს დიზელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით,

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ორივე მისამართზე არსებული საბიბლიოთეკო ფონდი სადაც ადგილზე მატერიალური ან/და ელექტრონული სახით მოიპოვებოდა ლიტერატურა. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბლიოთეკო წესით. ორივე მისამართზე არსებულ ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ქობულეთის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი გათვალისწინებულია შტატით, ხოლო დაბა ხულოში გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნები;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით;
- ვებ გვერდით (http://kpc.ge / ბიბლიოთეკა/)
- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. დაბა ხულოში, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია 55 ლეპტოპი, ხოლო ადმინისტრაციისათვის 5 ლეპტოპი და 2 პრინტერი. აღსანიშნავია რომ დაბა ხულოს ფართზე, ინტერნეტის მიწოდებისათვის ვიზიტის პერიოდში გამოცხადებული იყო ტენდერი, თუმცა დაწესებულებამ უზრუნველყო შეთანხმება სკოლასთან (**დანართი 2)** რომელიც ითვალისწინებს ტენდერის ჩაშლის შემთხვევაში ინტერნეტის მიწოდებას. ვიზიტის დროს გამართული იყო ქსელი და უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტის მიწოდება საჯარო სკოლიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შეთანხმება ინტერნეტის მიწოდებაზე
- შესყიდვის დოკუმენტაციით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა და ორივე მისამართზე მოქმედებს/იმოქმედებს ერთიანი საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება ხორციელდება Eflow საშუალებით. ბრძანებები და ხელშეკრულებსბი აღირიცხება შესაბამის ჟურნალებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესით
- ჟურნალებით
- საქმეთა ნომენკლატურით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა)დაწესებულების მიერ გაწერილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების ნორმები.
ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განთავსებულია ორივე მისამართზე არსებული შენობის თითოეულ სართულზე, მოწყობილია სპეციალური სახანძრო სტენდები, გადამოწმებით დადგინდა, რომ ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია.
ბ) ორივე მისამართზე ყველა სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები.
გ)დაწესებულებაში, ორივე მისამართზე ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი და შეძენილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები, რომელთა ვადების კონტროლი ხდება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულია მედდა, ხოლო ხულოში გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება მედდასთან.
კოლეჯში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ასევე სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, შესაბამისი ინსტურქცია დამტკიცებულია ხულოში არსებული ფართისთვისაც.
დ) კოლეჯის შინაგანაწესში (რომელიც ერთიანია დაწესებულებაში) გაწერილია ეთიკის ნორმები, კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, სტუდენტების, მსმენელებისა და თანამშრომლების, ასევე, მესამე პირთა ქცევისა და გადაადგილების წესები, განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა მოხდეს რეაგირება ამ წესების დარღვევისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ ,,ახალი ტალღის" შინაგანაწესი
- დამტკიცებული საევაკუაციო გეგმით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში ორივე მისამართზე არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო, მათ შორის: სველი წერტილები შესაბამისი კარებითა და სველ წერტილებში არსებული დასაყრდნობი სახელურებით,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ-გვერდი http://kpc.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების სტრუქტურა, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, ინფორმაცია ხარისხის სამსახურის შესახებ, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2019 წლის კატალოგი, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის და მასწავლებლების შესახებ, ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა და ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, საქმინობის ანგარიში, კითხვარები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ფოტო-გალერეა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდით http://kpc.ge
- დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. 2019 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დაბა ხულოში ფილიალის დაარსებას და პროგრამების დამატებას. ვებგვერდზე განთავსებულია ანგარიში წინა წლის საქმიანობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით;
- კოლეჯის მისიით;
- http://www.kpc.ge/pdf/angarishi.pdf

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; უახლოეს პერიოდში იგეგმება დამატებითი კონკურსები დამატებითი კვალიფიციური კადრის მოსაზიდად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საშტატო განრიგით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პირადი საქმეებით
- გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. „ელექტროობის“, „სასტუმრო მომსახურების“ „სატყეო საქმისა“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაბა ხულოში განხორციელების მიზნით დამატებით წინარე შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 25 პირთან. პროფესიულ პროგრამებზე რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებელი პირების თანაფარდობა მინიმალური თანაფარდობა 20 სტუდენტი /1 პროგრამის განმახორციელებელი პირი არ იქნება დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით;
- წინარე შრომითი ხელშეკრულებებით
- პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და წინარე შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	ქ ქობულეთი რუსთაველის ქუჩა №154	30	30
							დაბა ხულო მ შავაძის ქუჩა№3	-	30
2	სატყეო საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში 010556	48	78	ქართული	ქ ქობულეთი რუსთაველის ქუჩა №154	30	30
							დაბა ხულო მ შავაძის ქუჩა№3	-	30
3	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	ქ ქობულეთი რუსთაველის ქუჩა №154	30	30
							დაბა ხულო მ შავაძის ქუჩა№3	-	30
4	სასტუმრო მომსახურება (1), (2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში 112069	80	110	ქართული	ქ ქობულეთი რუსთაველის ქუჩა №154	105 (1) (2)	105 (1) (2)
							დაბა ხულო მ შავაძის ქუჩა№3	-	30 (1)
5	კულინარიის ხელოვნება (1), (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 010465	80	95	ქართული	ქ ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №154	-	60 (1)
								30 (2)	60 (2)

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. შეთანხმება ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებით.

17.03.2019

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: